უკანასკნელი რეპეტიცია

სულ მცირე დრო დარჩა 31 მარტამდე. მომავალ კვირას იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში და თითოეულ მატჩს უკვე პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, ამიტომ თბილისის დინამოელთა გუშინწინდელ საკონტროლო შეხვედრას შეიძლება უკანასკნელი რეპეტიცია ეწოდოს. რამდენიმე დღეში პრემიერაა.

მოსამზადებელი პერიოდის ამ გადამწყვეტ ეტაპზე დინამოელებს მეტად ძლიერი, გამოცდილი მოწინააღმდეგე ჰყავდათ – ცსკა.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: ცსკა – ბაუჟა, სემიგლაზოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, ლინიაევი, მოროზოვი, გრეკოვი, დოროდნიხი, ფედოტოვი, მამიკინი, კაშტანოვი. „დინამო“ – კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, ხელაძე, მესხი. თამაშს სჯიდა ი. ბოჭორაძე (თბილისი).

დაიწყო მატჩი და მაშინვე ნათელი გახდა ტაქტიკური განსხვავება ორივე გუნდის თამაშში. ლაპარაკია არა მოთამაშეთა განლაგებაზე, ვინაიდან სქემა როგორც არმიელებს, ისე თბილისელებს ერთნაირი ჰქონდათ – 4+2+4. თბილისელები დიდ დროს უთმობდნენ ინდივიდუალურ მოქმედებებს და დროდადრო ეს კოლექტივიზმის აუცილებელ ნორმებს სცილდებოდა. რაც შეეხება მოსკოველებს, მათი თამაშის მანერა გაცილებით უფრო ლაკონური და სარგებლიანი იყო. ისინი ყოველთვის ასწრებდნენ შესაბამის გადაჯგუფებებს დაცვაში, სანამ მოპირდაპირე ფორვარდები კარგავდნენ ძვირფას წამებს ბურთის დამუშავების პროცესში. რაც შეხება მათს თავდამსხმელებს, ისინი ძირითად აქცენტს აკეთებდნენ თავისუფლად დარჩენილ პარტნიორთან ურთიერთმოქმედებაზე. ასე შექმნეს მათ რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი, რომელთაგან ორი გოლით იქნა დამთავრებული.

გარდა ამისა, ცუდად ითამაშეს „დინამოს“ ნახევარმცველებმა. ხელაძე ერთობ პასიური ჩანდა მინდორზე და შეცდომებსაც უშვებდა, ხოლო იამანიძე არ ასრულებდა ნახევარმცველის კონკრეტულ ფუნქციებს, თავისუფლად ტოვებდა თავის უშუალო მეტოქეს და ზედმეტად ერთობოდა ბურთის ტარებით. ყველაფერ ამის გამო დინამოელთა გუნდი არაორგანიზებულად გამოიყურებოდა როგორც შუა მინდორზე, ისე არმიელთა საჯარიმო მოედანზეც.

პირველი ბურთი გაიტანეს თბილისელებმა. დათუნაშვილმა 22–ე წუთზე ზედიზედ მიაწოდა 4 კუთხური ბურთი. მეოთხე მიწოდებისას ბაუჟა ვერ მიწვდა ბურთს და მესხმა ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი კარში – 1:0.

ტაიმის დასასრულს არმიელებმა გაქვითეს გოლი: მამიკინმა თავისუფალ პოზიციაში მიიღო გადაცემა, შეუფერხებლად გავიდა წინ და გაიტანა ბურთი – 1:1.

61–ე წუთზე ცსკა–მ გაითამაშა კარგი კომბინაცია, ბურთი მარცხნივ გადაეცა თავისუფლად დარჩენილ კაშტანოვს და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 2:1.

ი. ახალაძე.
26 მარტი, 1963 წ.